

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

სათათბიროს სხდომის

ოქმი № 17

16.11.2016

სათათბიროს 12 წევრიდან ესწრებოდა 10

დღის წესრიგი:

1. საშტატო განრიგის დამტკიცება (მ. მშვილდაძე);
2. სტუდენტთა სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკზე გადასვლასთან დაკავშირებით (მ.მშვილდაძე);
მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს პროფ. მ. მშვილდაძე. მან სიტყვა გადასცა პროფ. ნ. წერეთელს, რომელმაც აღნიშნა, რომ ყოველი წლის მიწურულს ფაკულტეტის საბჭოები ამტკიცებენ მომავალი წლის საშტატო განრიგს და სათათბიროს წევრებს გააცნო ფაკულტეტის 2017 წლის საშტატო განრიგი (თან ერთვის).

დაადგინეს: დამტკიცდეს 2017 წლის ფაკულტეტის საშტატო განრიგი წარმოდგენილი სახით (თან ერთვის).

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

2. მოისმინეს პროფ. მ. მშვილდაძე. მან სათათბიროს წევრებს გააცნო სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკზე გადამსვლელ სტუდენტთა სია და აღნიშნა, რომ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სტუ-ის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის, აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 მარტის №1473 დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ფაკულტეტზე შემოსულია სულ 202 განცხადება (სია თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს პროფესორები: რ. კლდიაშვილი; მ. მაცაბერიძე; ნ. კუციავა. მათ მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ სტუდენტთა ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანას.

დაადგინეს: სიის მიხედვით წარმოდგენილი სტუდენტები გადაყვანილ იქნან ინდივიდუალური სწავლების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2016-17 სასწავლო წლის I სემესტრში (სია თან ერთვის).

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მიმდინარე საკითხები:

მოისმინეს: პროფ. მ.მშვილდაძე: მან სათათბიროს წევრებს გააცნო ასოც. პროფესორ ი. ლავგილავას განცხადება, რომელიც ეხება ახალგაზრდების ქიმიით დაინტერესების მიზნით, ჩასატარებელ კონფერენციას სახელწოდებით "ქიმია ხვალ". კონფერენციის ჩატარება იგეგმება 2016 წლის 25 დეკემბერს. განმცხადებელი ითხოვს ფაკულტეტიდან თანადაფინანსებას 1500 ლარის ოდენობით. მან აღნიშნა აგრეთვე რომ დიდია მოსწავლეთა დაინტერესება აღნიშნული კონფერენციისადმი და გაიხსენა წინა წლებში ჩატარებული ანალოგიური კონფერენციების ეფექტურობა.

აზრი გამოთქვას პროფესორები: ნ. კუციავა, მ. მაცაბერიძე; თ. ცინცაძე, მენეჯერი გ. მჭედლიშვილი.

დაადგინეს: ფაკულტეტის ბიუჯეტის შესაბამის მუხლში თანხის არ არსებობის გამო, ამ ეტაპზე უარი ეთქვას ასოც. პროფ. ი. ლაგვილავას კონფერენციის "ქიმი-ხვალ" თანადაფინანსებაზე. ხოლო 2017 წლისთვის ანალოგიური კონფერენციის ჩატარების დაგეგმვის შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნეს კონფერენციის თანადაფინანსების თანხა ფაკულტეტის ბიუჯეტში.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მოისმინეს: პროფ. მ.მშვილდაძე: მან გააცნო სათათბიროს წევრებს პროფ. ნ. კუციას მოხსენებითი ბარათი, რომელიც თხოულობს მაგისტრანტ მარიამ ჯაშიაშვილის სამაგისტრო თემის სათაური "ზოგიერთი ლითონის მოპოვება და გადამუშავება ძველ საქართველოში" შეიცვალოს დასახელებით "საქართველოს ნავთობების ნათელი ფრაქციების გამოსავლიანობის გაზრდის პერსპექტივა" (თან ერთვის).

აზრი გამოთქვას პროფესორები: მ. მაცაბერიძე; მ. მაისურაძე.

დაადგინეს: მაგისტრანტ მარიამ ჯაშიაშვილის სამაგისტრო თემის სათაური შეიცვალოს დასახელებით "საქართველოს ნავთობების ნათელი ფრაქციების გამოსავლიანობის გაზრდის პერსპექტივა".

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

სათათბიროს თავმჯდომარე, პროფ.

მ. მშვილდაძე

მდივანი, პროფ.

დ. ნოზაძე